

დომენტი კათოლიკოსის მოღვაწეობის საკითხისათვის

XVIII ს-ის I ნახევარი, ვახტანგ VI-ისა და მიხსი ძმის, კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი IV-ის მოღვაწეობის ხანა, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია.

ვახტანგ მუხრანბატონის ჯანიშინობის დროს საერო და სასულიერო ხელისუფალთა უფლებამოსილებანი მისსავე სამართალში შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „მეფისა და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის... ერთი ჳორციის ჳელმწიფე არის და მეორე-სულიკის, კურთხევა და პატივიც ლ-თისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ“¹. ძმების - მეფისა და კათოლიკოსის მოღვაწეობა ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი IV-ის, ერისკაცობაში დამიანე ბაგრატიონის პიროვნება და მოღვაწეობა არაერთგვაროვნადაა შეფასებული. ერთი მხრივ ის განიხილება როგორც ვახტანგის, მეფე ძმის, პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი, მნიშვნელოვანი კულტურული მოღვაწე და დიპლომატი, მეორე მხრივ ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად მას ბრალად ედება სამეფო ტახტის მითვისების ცდელლობა.

მკვლევართა ნაწილი (მ. ბროსე, დიმი. ბაქრაძე, მ. თამარაშვილი, ვ. დონდუა, ი. ტაბაღაძე, ბ. კუპატაძე) რომელიც კათოლიკოსს დამნაშავედ მიიჩნევს, უთავრესად ირანში სხვადასხვა დროს მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა (პიერ დ'ისუდენის, უან რიმარის, იან თადეუშ კრუშინსკის) და მათ ინფორმაციაზე დაყრდნობილ ავტორთა ცნობებს კრიტიკის გარეშე იღებს. ამის შესახებ უფრო დანერვილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღნიშნულის თაობაზე განსხვავებულია მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილის მოსაზრებანი (კერძოდ პლ. ოსელაიანისა და ე. პაჩვადის), ჩვენც მათ ვეთანხმებით და წინამდებარე ნაშრომიც ამ საკითხის გარკვევას ისახავს მიზნად.

XVII ს-ის დამლევსა და XVIII ს-ის დამდეგს ვახუშტი ბატონიშვილის თანხმად „იცივლებოდა ქცევა - ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-ზნესითა...“². ასეთი მძიმე ირანული პოლიტიკის შემკვიდრუობის აღკვეთის ამოცანის წინაშე იდგა მომავალი მეფე, ქართლის გამგებელი ვახტანგი, რომელიც მემატიანის დახასიათებით იყო ღვთის მოშიში და მოყვარე, ფრიად მოღვაწე, ეკლესიათა მამუნებელი, ხატთა და ჯვართა შემამკობელი, სამღვდელითა პატივისმცემელი, მართლმადიდებლობის მხედარი“³.

ცხადია, ასეთ ხელისუფალს დასახული გეგმაზომიერი პოლიტიკის გასატარებლად უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების სრული მხარდაჭერა და თანადგომა ესაჭიროებოდა. ამ მიზნით 1705

წელს ვახტანგმა მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც გამოთქვა სურვილი ედემოზ დიასამიძის კათოლიკოსობიდან გადაყენებისა და მის ნაცევლად „მიცვა კათალიკოსობა... ნიკოლაოზისათვისვე“; იგულისხმება ნიკოლოზ ამილახვარი, ვახტანგის ბიძის გიორგი XI-ის უერთგულესი და სანდო პირი; მაგრამ „შეთიქუნენ ეისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არლარა ინებენ ნიკოლაოზ, რამეთუ არს სოფლიერი“⁴. ვახტანგის სურვილი საკათალიკოსო უფლებებში აღადგინოს ნიკოლოზ ამილახვარი, იოლი ასახსნელია, მას უნდა გვერდში ამოიყენოს მეფის ერთგულებაში მრავალჯგის გამოცდილი უმაღლესი სასულიერო პირი. მაგრამ სამღვდელითა მხოლოდ და მთხოვნა საქმარისი არ აღმოჩნდა - მათ ვახტანგის კანდიდატურას, სოფლიერიობა“ - ერისკაცობა დასწამეს, ხოლო ყოფილ კათოლიკოსს „ეედემოსს დაუდვენ უმეცრება“ - უციკობა დააბრალეს.

საბოლოოდ „გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისითა კათალიკოზად დომენტი, ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ახლად მოსრული რუსეთიდან და აკურთხეს“⁵. ამდენად, როგორც ჩანს, დომენტი ბატონიშვილი სავესტით აკმაყოფილებდა ორივე მხარის მოთხოვნებს - მას გააჩნდა სათანადო განათლება - გამოცდილება, ასევე სარგებლობდა ძმის სრული ნდობით.

მართლაც, შემდგომში ისინი სრული თანხმობით განაგებდნენ ქვეყნის როგორც საერო, ისე საეკლესიო პოლიტიკას. ნიშანდობლივია, რომ მათი უფლებამოსილებანი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯნული არ არის, ისინი თავისუფლად ერევიან ერთმანეთის კომპეტენციებში და მეტიც, საგანგებოდ აღნიშნავენ ერთმანეთის ღვაწლს.

ამის საუკეთესო მაგალითია ის ფაქტი, რომ ვახტანგი დომენტის ირანში ყოფნის დროს მისგან დამოუკიდებლად „გაარჩევს“ კათოლიკოსის საურავს. თუ როგორ იღებს ვახტანგის ამ ინიციატივას ირანიდან დაბრუნებული კათოლიკოსი კარგად ჩანს პოეტი - მემატიანის „ბაქარიანში“⁶:

„მშვიდობით მოველ, დამიხვდა სამცხეთო გარიგებული,
... სვეტია კარგათ შემეყული, გარე
... ჩემს ძმას ვახტანგსა შეემყო, ღმერთმანი შემოფარდებული
... ადიდოს ქებული!“

ამავე თვალსაზრისით, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს სტამბის დაარსების საკითხი. ახლად დაარსებული ქართული სტამბა უმთავრესად სასულიერო ლიტერატურას გამოსცემდა. როგორც სამართლიანად შენიშნა ქრ. შარაშიძემ ამ საქმეზე უძველესად არა სამღვდელითა კათოლიკოსის მეთაურობით, არამედ საერო ხელისუფლება. 1709-1719 წწ-ში არცერთი გამოცემის თავფურცელს არ აღუნიშნავს დომენტი კა-

თოლიკოსის მონაწილეობა⁷. ეს უფრო თვალმისა-
ცემი ხდება თუ გაითვალისწინებთ XVIII ს-ის
ხელნაწერთა ანდერძებს, რომლებიც ნათელყოფ-
ენ დომენტი წვლილის სასულიერო ლიტერატურ-
ის აღმდგენელ საქმიანობაში⁸.

ერთადერთია, ისიც მოგვიანებით 1719-20 წწ-ში
გამოცემული, „კურთხევა ეკლესიისა“, რომელიც
დომენტი კათოლიკოსის რედაქტორობითა და სა-
ფასით დაისტამბა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ
კათოლიკოსიც საერო ცხოვრების მონაწილეა. ამ
კუთხით საინტერესოა მისი მონაწილეობა ვახ-
ტანგ VI-ის ამპარტოლის კოდექსის შედგენაში და
ვახტანგის მიერ მისი ღვაწლის განსაკუთრებულ-
ი აღნიშნვა: „ნურაჲინ ჰგონებთ, თეთი მხოლოდ
თავით თვისით რასამევე ყოფდეთ, არამედ თანა-
ყოლითა და დამონებითა მღვდელმთავრისა და
დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კუართისა ზე-
დან საუფლოსა სვეტისა ლ-თივ აღმართებულისა
და მირის აღმოცენებულის საქმედმყრობელისა
და წარისწა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა
ჩვენისა ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტი-
სითა“ და სხვათა და სხვათა „კითხვითა“ „განჯარ-
ინეთ და დავსწერეთ“ „მართალი სამართალი“-ო⁹.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე მათი თანადგო-
მა ტყვის სყიდვის აკრძალვაში. ვახუშტის თანახ-
მაა „მცველი ციხის, თათარი ჭფილისისა, გო-
რისა და სურამისა ტყვეთა“ იპარავდნენ და „შეე-
რიათ ქართველთა ყიდაღა ტყვეთა...“ ვახტანგმა
შეძლია ამ მძიმე სოციალური მოვლენის აღკვეთა,
რამაც არამცირედი წვლილი დომენტისაც მიუძ-
ღვლის¹⁰. ამ აქტს ვახტანგისა და დომენტის მონი-
ნააღმდეგეთა რიცხვი მნიშვნელოვნად უნდა გა-
ეზარდა. ქართველთა შორის, რომელთაც „შეერი-
ათ ყიდაღა ტყვეთა“ ის ფეოდალები უნდა ვიკუ-
ლისხმობთ, რომლებიც შემდგომ სიმონ-იესეს მი-
ემხრნენ.

იმ საბუთთაგან, რომლებიც ამ თვალსაზრისით
დომენტის მონაწილეობას ადასტურებენ, რამდენ-
იმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ერთი
მათგანი 1713 წლითა დათარიღებული და გაცე-
მულია კათოლიკოსის მიერ თავისი სახლთუხუ-
ცესის ყმის - მღვდლის გურიულ მახარებლისად-
მი. დომენტი აღნიშნავს, რომ „მალაღამომან
იასემ დიოდ ავი საქმე ქმნა და ტყუელები დაყიდა.
ვეცადენით და ვერას საქსრით და ფასით ტყუები
ვერ დაეაქსნენინეთ... ვითაც ჯერ იყო, ერთსა
ვეგუთსა ძვირისმოქმედსა ზედა უნაშენებავსადა
ნეს იყო, რასაცა, ოდენ გაეხსნაო მოძოდი ანუ
თვალთავანი, ანუ ქელთავანი, ანუ კერწთავანი
ანუ ერთი ასთთა მისთავანი მოგვეკუთეთა ეწინდა
და ვიდრე სიკუდიდ მიწვენულ - გვექმნა, არამედ
ამის ესე ვითარისაგან განავათავისუფლეთ კათო-
ლიკე ვითარციქულო ეკლესიისა და კვართსა უფ-
ლისა პატრიქისათვინ და საკანონოდ დავკვიდე...
მიწა“¹¹. საბუთი ააშკარავებს თუ როგორ იბრძვის
კათოლიკოსი ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. ამავე
თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 1712 წლის აგ-
ვისტოს თვითა და 1713 წლის მაისის თვით დათა-
რიღებული ორი საბუთი. პირველი მათგანი, დო-
მენტი კათოლიკოსისადმი დედოფალ რუსუდანი-

სა და ბაქარ ბატონიშვილის მიერაა გაცემული.
როგორც ირკვევა ტყვის სყიდვამ ვახტანგის
ირანს გამგზავრებისთანავე კვლავ იჩინა თავი.
საბუთში აღნიშნულია, რომ „...ზოგს ერთს ალა-
გას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქვენ (კათოლი-
კოსი - ე. კ.) ვითარც მართებულნი იყო, გრეთ იწ-
ყინეთ და გამოეკიდენით“¹². დედოფალი და ბა-
ტონიშვილი ამ მხრივ კათოლიკოსს ყოველგვარ
მხარდაჭერას აღუთქვამენ; ვფიქრობთ, ვახტან-
გის ქართლიდან წასვლის შემდეგ მის ოჯახს,
რუსუდანსა და ბაქარს ვახტანგის პოლიტიკის
გამმართველად ქვეყანაში დომენტი კათოლიკოსი
მიაჩნიათ. ამასვე მონიშნავს, ზემოხსენებული
1713 წლის მაისის თვით დათარიღებული საბუ-
თი, კათოლიკოსის მიერ ახალციხეს გაყიდული
ყმის დახსნის თაობაზე¹³, ე. ი. ჯერ კიდევ 1713
წლის მაისის ბოლოს ის აგრძელებს ძმის მიერ
წამოწყებულ ბრძოლას. ცხადია, ეს ხელს არ აძ-
ლევდა ამ საქმიანობით დაინტერესებულ ფეო-
დალებს და ვფიქრობთ, ისინი კათოლიკოსის
ძლიერ ოპოზიციას ეკუთვნოდნენ.

ვახუშტის თანახმად, ირანში გამგზავრებამდე
(1712, 23 აპრილი) ვახტანგმა „დედოფალი და ძე-
ნი თესნი დაადგინა გორს“ და „დაუტყუა ძმა
თესი სკომნ გამგედ ქართლისა“¹⁴ - სიმონი, რომე-
ლიც იმავე ხელს დემოკრატ გიორგი ერისთავს
და ერთობლივად „იწყეს ქუეყანხვედვლობად
ვახტანგისა“. ასევე იესემაც, ვახტანგისაგან დახა-
სიათებით „მუდამ განდგომილმა“¹⁵ აუჯანყა მას
ციხილბაში მეციხოვნენი და ყურარის დანაც
დაბარალა.

ასეთ ვითარებაში ირანის სამეფო კარი, ვითომ-
და გასარკვევად „რა ბოროტი უქმნიეს მაჰმადი-
ანთა ზედა ვახტანგს“, პოლიტიკურ ძალთა და-
სახვერად და თუ „იცეს ფაში, თუთ დაიპყრას
ქართლი“, ვინმე ხოლოფას გზავნის. ეს უნდა
იყოს იგივე ხულუფა, მოგვიანებით თამაზ ხანის
დესპანი პეტერწურგში, რომელიც ვახტანგის
ღიაღმარების წინააღმდეგ მოქმედებდა¹⁶.

მაგრამ ქართლში მოვლენილ ხოლოფას, რო-
გორც ჩანს, ისეთი ძლიერი ძალთა დაპირისპირე-
ბა დაუხვდა, რომ დამოუკიდებლად მოქმედებას,
მან მისთვის უფრო მისაღებ პოლიტიკურ დაჯ-
გუფებასთან გაერთიანება არჩია: „მოსრულის
ხოლოფას თანა შეიზარახნენ სკომნ და მთავარნი
ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა“¹⁷. ვახ-
ტანგის მონიშნულადმდეგეთა შორის არიან სიმონი,
ხოლოფა, ქნასისა და არაგვის ერისთავები, ტყვის
სყიდვით დაინტერესებული ფეოდალები, რო-
მელთაც „მოუწერეს“ ყვენსა „არა გვეწიბავს ვახ-
ტანგი, არამედ მოგვეფიცონ იესე“¹⁸. იესე, რო-
მელსაც „აღუთქუა... ყვენიჭათს ნარეგონებად
დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასნი
ქართველნი“¹⁹. ვახუშტის კონტექსტის თანახმად
წნორბედ ანას უკავშირდება კათოლიკოსის მეთა-
ურობით სავანებო საეკლესიო კრების მოწვევა,
რომლის გადანყვეტილებაც ვახუშტის ქარ-
თველთათვის „ემა უტხოდა“ აჩვენება „რამეთუ ქ-
რისტისთვის იძულებულია ვახტანგისათვის ნება
- მონიშნა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა
და სამღვდელთამან“²⁰, ე. ი. მოხდა უპრეცედენ-
ტო რამ, საეკლესიო კრებამ ქართველ მოზავალ

მეფეს გამამჰადიანების დასტური მისცა. საქმე ის იყო, რომ ქართული ეკლესია ქართველ მეფეთა იძულებით გამამჰადიანებას იძულებითვე ურიგდებოდა, თუმცა საამისო ოფიციალურ დასტურს არასოდეს იძლეოდა²¹. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტისეული რეპლიკა „ეჰა უცხო“, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვახტანგს ოფიციალურად დართო ნება გამამჰადიანებულობისთვის.

ვახუშტის ტექსტის ეს ადგილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა გაგებული, ვ. დონდუა აზრობს²², კათოლიკოსისა და კრების ასეთი ნებართვის მიზანი ყოველშემათავან ვახტანგის საქართველოსათვის ჩამოცილება უნდა ყოფილიყო, ასევეა ეს ადგილი მუფთაბეული ქართული დიპლომატიის რელინიფიკში გამოქვეყნებულ ბ. კუპატაძის სტატიაში²³, განსხვავებულია ამ თვალსაზრისით კლ. იოსელიანისა²⁴ და გ. პაიჭაძის მოსაზრება²⁵, ჩვენც ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს.

ფეიქრობის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დომენტი კათოლიკოსის რეალისტური აზროვნება და დიპლომატიური ნიჭი, ვახტანგისაგან განსხვავებით ქართლში დარჩენილი კათოლიკოსის სათანადოდ აფასებდა შექმნილ ვითარებას, ითვალისწინებდა საფრთხეს, რის წინაშეც ქვეყანა იდგა და უკიდურეს ზომას მიმართა.

დომენტი კათოლიკოსს მამა - ბიძების მსგავსად ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმეფმად იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან (1669-1707), რომელიც თავისი დროის იმ პოლიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს გამართლებულად მიიჩნევდნენ, მათ შორის რწმენის მოჩვენებით გამოცვლასაც თუკი ეს ქრისტიანობას ნაადგებობა²⁶. ბუნებრივია, ასეთგვარად მოაზროვნე პატრიარქთან ურთიერთობა დომენტის პოლიტიკურ აზროვნებაზეც გარკვეულ გავლენას იქონიებდა. ამდენად, იმავე ქრისტიანული ქვეყნის ინტერესების დასაცავად მოჩვენებითი მაჰმადიანობა აღნიშნულ პერიოდში მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული შეიწირებულ ქრისტიანული სამყაროსათვის უცხო არ ყოფილა.

ამასთანავე, როგორც ამ შემთხვევაში სამართლიანად აღნიშნავს ვ. დონდუა, ვახტანგისათვის, როგორც სჯულმდებლისათვის, მიუღებელი იყო ქრისტიანობის უარყოფა. ის უარს ამბობდა ისეთ მეფობაზე, რომელიც არ ითვალისწინებდა მისი ქართველობის უმთავრეს ატრიბუტს - რწმენას. მისთვის „მამულისა და ქრისტეს სჯულის“ შემცველი ღირსი იყო, როგორც ეს მისავე სამართლის ნიგშია აღნიშნული „საზოგადოდ ყოველგვარი სასჯელისა“. თავისთავად ცხადია, მისი ასეთი განწყობა და კატეგორიული დამოკიდებულება ყველაზე კარგად გასაგები და ცნობილი იქნებოდა მისი კათოლიკოსი ძმისათვის, რომელიც იმავე სამართლის სუვერენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა. სწორედ ამის გამო მოიწვია დომენტიც საგანგებო კრება, რათა გაეთავისუფლებინა ვახტანგი ღვთისა და ერის წინა-

შე ამ უდიდესი პასუხისმგებლობისაგან და გამამჰადიანების ოფიციალური დასტური მისცა.

აღნიშნული საკითხის სწორად გადასანწყვეტად ფეიქრობის უმთავრესია გათვალისწინება იმისა თუ რა მოჰყვებოდა შედეგად საეკლესიო კრების ოფიციალურ დასტურს. ფეიქრობით ვახტანგის გამამჰადიანებას მისთვის ქართლის ტახტის დამტკიცება და ადრე თუ გვიან საქართველოში დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა. აქვე მხედველობაშია მისაღწევი ის ფაქტორები თუ რა ვითარებაში მოხდა ეკლესიის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება - როდესაც ვახტანგის მოწინააღმდეგეობის კანიდიდატურის უარყოფენად გამამჰადიანებულ იესეს ითხოვენ. უცნაურად გვეჩვენება სამეფო ტახტის დაუფლებისათვის მებრძოლი კათოლიკოსი ამავდროულად ამ ღონისძიებით ვახტანგს იმავე ტახტის მოსაპოვებლად გზას უხსნის. ამასთანავე დომენტისა და მისი მომხრეების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს შაჰის ავერტის - ხოლოფას გაძევებაც. ვახუშტით კათოლიკოსმა და მისმა მომხრეებმა „განკიცხეს ხოლოფა და წარიეღტოდა ისპანსავე“²⁷.

დომენტი კათოლიკოსს რომ გამეფების პრეტენზია ჰქონოდა და შაჰისათვის შესაბამისი თხოვნა გაეგზავნა (როგორც ამას კათოლიკე მისიონერები აღნიშნავენ) მაშინ ის შაჰისვე ავენტს - ხოლოფას არამცთუ გააძევებდა, არამედ მასთან სიახლოვეს არჩევდა და მას პირადი კონზენის მისაღწევად გამოიყენებდა. ცხადია, კათოლიკოსის მეშვეობით გაძევებული ირანში დაბრუნებული ხოლოფა მის ყოველმხრივ კომპრომეტირებას შეეცდებოდა.

საყურადღებოა აგრეთვე თუ როგორ აღწერს ვახუშტი დომენტის შეყვარობის ფაქტს, აღნიშნავს რა, რომ „... სვომნა რომელიც მართიად უფრო მოხუჭით და არა შეიშინეს ლუთისა“, სიტყვიერით კათოლიკოსის შეყვარობაც არ ითაკილა: „არამედ ჰყვეს ესეცა: მიეყრა სვომნ კათალიკოზი დომენტს ზაკეტა და წარმოუღლია ბაქარს რათა აღმოჰადოს თულნი“²⁸. ზაკუს სულხან საბა შემდეგნაირად განმარტავს: „პირით სიყუარულსა იჩემდნენ და გულითა ბოროტად დამარხხოს“²⁹, რაც ნათელს ხდის კათოლიკოსისა და ქართლის გამგებლის ურთიერთობის ხასიათს და ამასთანავე ვახუშტის მიერ ამ ფაქტის შეფასებას, მისი აზრით, კათოლიკოსი სომონმა დაუმსახურებლად და სიტყვიერით შეიპყრო.

ბუნებრივია, სიმონი ბაქარს გორში კათოლიკოსის ისეთი მძიმე ბრალდებით გაუგზავნიდა, რაც ასეთი სასტიკი განაჩენის გამოტანას იმსახურებდა. როგორც ჩანს, სიმონი დარწმუნებულია განაჩენის აღსრულებაში, ცოტა მოგვიანებით - მიერ დ'ისუდენმა, კათოლიკე მისიონერი წერდა, ქართველებმა პატრიარქს თვალები დათხარესო, ვეიქრობთ, ეს არასწორი ინფორმაცია მიანობდეს ირანში მყოფ ვახტანგს, მისგან კი ცნობად დომენტის თვალების დათხარის შესახებ მიიღო დ'ისუდენმა. სამშობლოდან ხოლოფასა და სიმონის მომხრეთაგან მიღებული ცნობებით განძილებულმა ვახტანგმა თავისი განწყობა შემოქმედებაში ასახა; ეს კარგად ჩანს, როგორც „კინ-

კლოსის" ანდერძში, რომელიც ამავე 1713 წელსაა დაწერილი, ისე მის პოეზიაში. „კინკლოსის“ ანდერძში ის წერს „...დაღაცათუ პატივეცემულ ვარ, არამედ მწორ ვარ... იტყვის მოციქული „შეენო-დეთ ურთიერთსა, თუცა ხმის მის შმენდელ ჩემ-თათვის ჩემთა და ძმათა ჩემთავანი არაწინ არს და განგდებულ ვიქენ ვითარცა მკედარი, მოძაგე-ბული მათგან... ასე მომიხდეს საქმე, სამღვდლო-თაგანი აღარაჲნი მყავანდელ“³⁰. ვფიქრობთ, მოკლე ხანშივე უნდა იყოს დაწერილი „სალბუნად გული-სა“³¹, სადაც ვახტანგი წერს შემდეგს:

„ერთა ღმერთი არ ინაშეს, ბერთა რჯული
შურარცხეყვის,
არას ეერსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ
რაც ყვეს.
მოლა ღმერთსა მახევენება, ჩემთა მკვლელობა
ბერნი დაყვეს.
და ჩემს ცოლ-შვილთა ტყვედ ეძებდენ,
საქონელი იავრყვეს“.

აქედანვე ჩანს თუ ვის განიხილავს ვახტანგი მტრად - მისი ოჯახის შეპყრობასა და გაგზავნას შაჰ იუსთან პუსხთან ისევე ალუთქაშად და არა დომენტი. ამდენად, საკითხის მეორე მხარეა, რამდენად სწორი იყო ის ინფორმაცია, რასაც ვახტანგი სიმნირეში ფლობდა. ასევე საეჭვოა, რომ მოგვიანებით ქართლში დაბრუნებულს, მის ამ მდგომარეობაში ჩამგდებთაგან ვინმე დაენდო - თუნდაც ღვიძლი ძმა კათალიკოსი. მათი ურთი-ერთობის მთელი შემდგომი განვითარება კი სანი-ნაალმდეგოს მონშობს.

სიმონის მზაკერული განზრახვა ვერ განხორცი-ელდა. როგორც ჩანს, საქმეში დედრფალი რუსუ-დანი ჩაერვა; ის სიყრმიდანვე იცნობდა დომენ-ტის: „გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუ-დან“³², და კათოლიკოსი დომენტი „იყოფოდა მათ თანა პატივითა“³³ გორს. საეჭვოა, მაშის მოლალა-ტე, ბიძა ბაქარს დაედო და უფრო მეტიც პატი-ვით თხოვდა. შემდგომ „იესეს მეფედ ქართლი-სად ნიჭითა“³⁴ წარმოვლენისა, რუსუდან დედო-ფალი შვილებითურთ რაჭას გაიხიზნა, აჴინათად აღეთქუა იესეს ყეენისათეს წარვლენებად დედო-ფალი და ძენი ვახტანგისანი“³⁵, და დედოფალმა და ბაქარმა, როგორც მათი ოჯახის ინტერესების დამცველი და სანდო პირი „გამოუტყვეს კათალი-კოსი დომენტი. მისრულსა იესემ პატივ-სცა და დაადგინა კუალად კათალიკოზად“³⁶.

ასევე ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ვა-ხუშტის ცნობა, როდესაც ის მოგვიანებით სიმონ ბატონიშვილის შესახებ წერს, რომ ის „...ჰგლოვ-და, რამეთუ მისინენ ცოლშვილი და მისუნი მისნი მომპყრელისა უჴამითა, რომლისასა იტყოდ-ნენ კრულითა კათალიკოზისათა ყოფასა“³⁷. ვფიქრობთ, აქედან შესაძლოა დავასკვნათ, რომ სიმონის მიერ კათოლიკოსის შეპყრობა და თვა-ლის დასათხრელად გამეტება, ამასთანავე მისი მორალურად დამცრობა, საზოგადოდ უარყოფი-თად არის უფასებელი, რაც კიდევ ერთხელ დომენტის უფანაშუალობას მოწმობს. პლ. იოსე-ლიანი აღნიშნავს, რომ სიმონმა მონანიების მიზ-ნით 1717 წლის ახლოს თბილისში ეკლესია ააგო. ჩვენ ასევე მოგვეპოვება საბუთი, რომლის თანახ-

მადაც სიმონი მისი მეუღლის - გუქა ბარძიმ ერისთავის ასულის სულის საოხად სწირავს სვე-ტიცხოველს ღვთისმშობლის ხატს³⁸.

ნიშანდობლივია, რომ 1719 წლისათვის ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს „შეჴვიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთგუ-ლებისა ზედა და დალოცეს ყოველთა ქართველ-თა მეფედ და მიულოცეს და გარდააყარეს ოქრო და ვეცხლინი მრავალნი, დიდებულთა, წარჩინე-ბულთა აზნაურთა, კათალიკოზმან და ეპისკო-პოს-არქიმანდრიტთა“³⁹.

ნაშრომის შესავალში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მკვლევართა ის დიდი ნაწილი, კერძოდ მ. ბროსე, დომ. ბაქრაძე, მ. თამარაშვილი, ვ. ღონღუა, ი. ტა-ბალუა, ბ. კუპატაძე, რომელიც კათოლიკოსის ბრალეულობას ამტკიცებს, უშთავრესად ირანში სხვდასხვად დროს მოღვაწე კათოლიკე მისიონ-ერთა პიერ დისუდენის, ჟან რიშარის, აინ თა-დეუს კრუშინსკისა და მათ ცნობებზე დაყრდნო-ბილ ავტორთა მონაცემებს ეყრდნობა.

ცხადია, უცხოური წყაროები მეტად საინტერე-სო ცნობებს შეიცავენ და ერთგვარად ავსებენ ქართულ წყაროთა მონაცემებს, მაგრამ სმირ შემთხვევაში ისინი არაზუსტნი არიან; ასევე გა-სათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მათ ავ-ტორებს არცთუ იშვიათად ცნობებს ტენდენცი-ურად აწვდიან. ზუნებრეგია, ანთ დროს დგება სანდოობის საკითხი და მათი უკრიტიკოდ გათ-ვალისწინება მცდარი იქნება. ჩვენ შევცადეთ შეგვეჯერებინა უცხოური ავტორთა ცნობები ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ წყაროებთან, რამაც ჩვენს წყაროთა უპირატესობაში კიდევ ერთხელ დავგარწმუნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ 1712 წლიდან ირანში მყოფ ვახტანგ VI-ს ახლო ურთიერთობა აქვს კათოლიკე მისიონერებთან. მათ შორის უნდა დავასახელოთ პირველ ყოვლი-სა ჟან რიშარი, რომელიც 1713 წლის მაისის თვის დამლევამდე ირანში მოღვაწეობს⁴⁰. ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა მისი შემდგომი მოგ-ზაურობის მარშრუტი და ქრონოლოგია. 1713 წლის ივნისში ჟან რიშარი ერევანშია, შემდგომ 15 დღეს სიმონის თხოვნით თბილისში დაყოფს და გორს გაემგზავრება; უკვე 1713 წლის 17 აგ-ვისტოს სულხან საბას თანხლებით ტოვებს გორს.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ რიშარის საქართველოში ჩამოსვლამდე, ასევე მისი აქ ყოფნის დროს დომენტი კათოლიკოსის მიერ ჯერ არც კრებაა მოწვეული და არც კათალიკო-სია დატყვევებული სიმონის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში რიშარი ამას მაშინავე აცნობებდა - საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში - გრაფ დეზალორს, რომის პაპს თუ საფრანგეთის სამეფო კარს და ამასთანავე შემდგომში მიღებუ-ლი ეს ცნობა არც მისთვის და მით უფრო სულ-ხან-საბასთვის სიახლე არ იქნებოდა. დომენტი კათალიკოსი რომ ამ დროისათვის დატუსაღე-ბული და დასასჯელად გორს უკვე მივლინებული ყოფილიყო იქ მყოფი სულხან-საბასთვის კარგად

იქნებოდა ცნობილი და რიპარიც ამას უთუოდ აღნიშნავდა.

რეალურად რიპარი დომენტის გამოსვლის შესახებ ცნობას იღებს 1714 წლისათვის, ასევე ირანში მოღვაწე ფრანგი მისიონერისაგან პიერ დ'ისუდენისაგან³⁹, რაც თავისთავად გამოირიცხავს მისი ცნობის როგორც თვითმხილველის სანდოობას. საქმე ის არის, რომ 1714 წლის 29 ოქტომბერს, ჟან რიპარი რომელიც ამ დროისათვის პარიზშია, თავის მინისტრს წერს, რომ ფაქტი ქართველთა პატრიარქის გამაჰმადიანების, გამეფების სურვილისა და ამის გამო მისთვის თვალების დათხრის შესახებ მან შეიტყო პიერ დ'ისუდენის წერილიდან. ე. ი. ჟან რიპარი აღნიშნულ ცნობას პირველად იღებს დ'ისუდენისაგან. იგივე ცნობას, რომ კათოლიკოსმა სცადა გააშუქება, რიპარი ასევე იღებს საქმოდ მოგვიანებით 1715 წლის 2 აპრილს სულხან საბა ორბელიანისაგანაც.

რაც შეეხება პიერ დ'ისუდენს მას საქმოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირანში მყოფ ვახტანგთან, როგორც მისივე სიტყვებიდან ირკვევა ევროპიდან მიღებულ კორესპონდენციას ის თავად უთარგმნიდა ვახტანგ VI-ს⁴⁰.

საკუთრივ დ'ისუდენის 1714 წლის 8 ივნისი დათარიღებულ პარიზში გაგზავნილ წერილში აღნიშნულია შემდეგი: „... მეფეს, რომელსაც ჰქვია ვახტანგ მირზა, ჰყავს ძმა, რომელიც ამ ბერძნული რელიგიური ნესჩვეულების მქონე ერის პატრიარქია. ამ პატრიარქმა, რომელიც დაახლოებით 50 წლისაა, მისწერა სპარსეთის შაჰს და თხოვა რათა დანიშნონ იგი საქართველოს მმართველად, მიათხოვონ მას ცოლად კახეთის მთავრის ქალიშვილი და რომ იგი მიიღებს მაჰმადიანობას. დაჰპირდა აგრეთვე მონათა დიდ რაოდენობას, რომელსაც ის გაუგზავნიდა შაჰს, საქართველოს ჩვეულებრივ ხარკს; რომ ის გაუგზავნის აგრეთვე (ვახტანგის - ი. ტ.) ცოლს და მეფე ვახტანგის მთელ ოჯახს, ზემოსხენებული მეფის შვილს და საქართველოს ყველა სხვა თავადს და დიდებულს“⁴¹.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გამეფების შემთხვევაში ყოველივე ზემოაღნიშნულს შაჰს ვახტანგის ძმა - იესე აღუთქვამს. ამ ცნობის უზუსტობას აგრეთვე აღნიშობს კათოლიკოსის გორს პატრიოთ ყოფნა ბაქართან და რუსულად დედოფალთან; ამასთანავე მისდამი გამოჩენილი ნიღბა. ასევე ყოვლად შეუღებამოდ გვეჩვენება ერთდროულად დომენტის მიერ შაჰისადმი მსგავსი შინაარსის წერილის მიწერა და ვახტანგისათვის გამაჰმადიანების ნების დართვა. ვანსაკუთრებით საყურადღებოა, დ'ისუდენის ცნობა დომენტისათვის თვალების დათხრის თაობაზე, მით უფრო რომ ფრანგი მისიონერი დარწმუნებულია განაჩენის აღსრულებაში.

ბუნებრივია, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია სულხან-საბას მიერ რიპარისათვის მიწოდებული ცნობა, რომელიც ერთი შეხედვით სარწმუნო უნდა იყოს. მეორე მხრივ, მხედველობით უნდა მივიღოთ, რომ სულხან საბა დომენტის შესახებ ინფორმაციას იღებს საქართველოში ჩამოუსვლელად, 1715 წელს ევროპიდან კონსტანტინო-

პოლში ჩასული, რამდენადაც ცნობილია 1715 წლის იანვარში კონსტანტინოპოლში ჩასულ სულხან საბა ორბელიანს დახვდა 1714 წლის ივნისში დაწერილი ვახტანგის წერილი. ნიშანდობილია, რომ დ'ისუდენის შესაბამისი ინფორმაციით პარიზს გაგზავნილი წერილიც 1714 წლის ივნისითაა დათარიღებული. ჩვენის აზრით, სულხან-საბასათვის პირველწყარო ვახტანგი უნდა ყოფილიყო.

ამდენად, ვფიქრობთ შესაძლოა დავასკვნათ, რომ ვახტანგისა და მასთან დაახლოებული მისიონერის დ'ისუდენის პირველწყარო ამ დოკუმენტშია კითხვად დასაშვალი ვახტანგის მონიშნულადმდეგეთა დასი უნდა იყოს. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტად ამყარებს დ'ისუდენისეული ცნობა დომენტის კათოლიკოსისათვის თვალების დათხრის თაობაზე, რაც სიმონის მომხრეთაგან უნდა მომდინარეობდეს.

აქვე უნდა შევეხოთ იან თადეუს კრუშინსკის - პოლონელი მოგზაურის, მისონერისა და მემპტიანის ცნობას, რომლის დომენტზეაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მეტად ხშირია. მისი ცნობის სისწორეში პირველი ყოვლისა დავეუბნავთ იმან, რომ დ'ისუდენის მსგავსად ისიც საქართველოში ამყოფო ირ არის. ის სამჯერ სხვადასხვა დროს ჩაღის ირანში სამოღვაწეოდ: 1706-1708, 1712 წელს მცირე ხნით და ბოლოს 1714-1725 წწ. -ში. ამდენად, ინფორმაცია დომენტის შესახებ მასაც ირანში უნდა ჰქონდეს მოპოვებული, თანაც უფრო მოგვიანებით. ნიშანდობილია, რომ მისი ცნობები აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გულუბრყვილობამდე მცდარია.

კრუშინსკი წერს, რომ 1709 წელს კათოლიკოს დომენტის, მონაზონ კაცს გაუმეღანებია სურვილი ცოლის შერთვის და გამაჰმადიანებისა გამეფების მიზნით, რის გამოც მამამისმა ლევანმა მას ფეხბისგულზე ჯოხის ცემა მიუთავაზა და ამ გზით დააკარგინა ეს სურვილი⁴².

კრუშინსკის ამ ცნობას შემდგომში ინგლისელი ავტორი მანვიც იმეორებს⁴³.

საქმე ის არის, რომ 1707-1708 წწ-ში დომენტი მართლაც ირანში იმყოფებოდა. კათოლიკოსად დადგინებიდან მოკლე ხანში, საკათალიკოსო ყმა-მამულის საქმის მოწესრიგების მიზნით, მან მმოკითხა კახეთში მცხეთის კუთვნილი ყმა-მამული. დავით იმამყულიანმა, რომელიც იყო „სრულიად მოქცეული წესსა ზედა და სჯულსა მაჰმადისსა“⁴⁴ და კახმა ფეოდალთა კათოლიკოსს „არა აუფლეს... კახეთს მამული თქნი“⁴⁵. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დომენტის ირანს მივლინება, როგორც ჩანს, ის დარწმუნებულია თავისი მისიის წარმატებაში, მისი სამგზავრო განწყობა კარგად ჩანს ი. ტალბასის „ბაქარიანში“; კათოლიკოსის ასეთ განწყობას სათანადო საფუძველი გააჩნია - ირანში მას შაჰის კარზე ერთგულად ნამსახური ბიძა-გიორგი XI, მამა - ლევან ბატონიშვილი და ძმა - ქაიხოსრო მუხრან-ბატონი ეგულებიან. ცხადია, შაჰ სულეიმანის პატივით დახვედრასა და მის „წყალობასაც“ ეს ფაქტორი განაპირობებდა. „მისრულსა კათალი-

კოზს პატივ-სცა ყვენმა და მისცა ყოველინი მამულნი თვისნი და ნიჭი დიდი. შემდგომად გამოუტევა და მოვიდა ტფილისს ქ-სა ჩ-ლს, ქარ. ტ-უე. ¹⁷⁰⁶ (1708 წ.) დომენტის ირანში ყოფნის დროისათვის ქართლის სამეფო ტახტზეა გიორგი XI, რომელიც 1709 წელს დაიღუპა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე მეფედ შაჰი ლევან ბატონიშვილის უფროს შვილს - ქაიხოსროს ამტკიცებს. რაც შეეხება თავად ლევან ბატონიშვილს, ის 1709 წელს გარდაიცვალა ისპაჰანში. ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების განვითარების დროისათვის დომენტის ჯერ ქართლში, შემდეგ კახეთშია. შესაბამისად ლევან ბატონიშვილის მიერ დომენტის დასჯაც გამორიცხულია. ასევე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია დომენტის პრეტენზია სამეფო ტახტზე აღნიშნულ პერიოდში, როგორც ეს გამოთქმულია უკანასკნელ ხანს სამეცნიერო ლიტერატურაში²⁷.

კრუშინსკის ეს ცნობები უნდა ჩაენერა ირანში თავისი უკანასკნელი მივლინების დროს - 1714-1725 წწ-ს შორის. თუ გავითვალისწინებთ სხვა კათოლიკე მისიონერთა მცდარ ინფორმაციას ეახტანგსა და მის გარემოცვასთან სიახლოვის ფონზე, კრუშინსკის ცნობათა უზუსტობა გასაკვირი არაა, მაგრამ მისთვის რთული არ უნდა ყოფილიყო საკუთრივ ირანში მომხდარი ისეთი ფაქტების დადგენა, როგორიცაა ლევანის გარდაცვალება, დომენტის შაჰის კარზე ყოფნის დრო და იქ განვითარებული მოვლენები. როგორც ჩანს, ის შეუმონებლად ეყრდნობა მისთვის მონოდებულ ინფორმაციას.

ამდენად, არცერთი ქართული წყარო (ბატონიშვილი, ვახუშტი, ი. ტლაშაძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი) არ ადასტურებს მსგავს ფაქტს. აქვე უნდა მიუთითოთ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრების“ ზაქარია ჭიჭინაძისეული 1913 წლის გამოცემა, რომელსაც დომენტი კათოლიკოსის ბრალდების მტკიცებისას მეკლერები ხშირად იმონებენ; გავეცანით რა აღნიშნულ ნაშრომს დაერწმუნდით, რომ არსად ვახუშტისეულ ტექსტში ამის სასარგებლოდ მინიშნებაც კი არ არის. საქმე ის ვახლავთ, რომ ზ. ჭიჭინაძის ამ გამოცემას ნამძღვრებული აქვს მისივე შესავალი და ასევე მის მიერ დართული „ისტორიული სურათები ვახუშტის ისტორიისა“. ამ სურათების მინაწერებიც ზ. ჭიჭინაძეს ეკუთვნის. დომენტი კათოლიკოსის სურათის მინაწერში ის ძირითადად კრუშინსკის ცნობის ციტირებას ახდენს. აქედან გამომდინარე ამ ცნობის ვახუშტი ბატონიშვილისათვის მიუთუთვება მცდარია.

ფიქრობთ, კათოლიკე მისიონერთა ცნობების კრიტიკული განხილვისა და მათი ქართულ წყაროთა მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დომენტი კათოლიკოსის მიერ საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევის უმთავრესი მიზანი ეახტანგ VI-ის ქართლის სამეფო ტახტზე დროული დამტკიცება უნდა ყოფილიყო.

К ВОПРОСУ О ДЕЯТЕЛЬНОСТИ КАТОЛИКОСА ДОМЕНТИЯ

Во время царствования царя Вахтанга VI-го в управлении государством значительную роль играл брат царя – Католикос-Патриарх Домений IV (Даммиане Багратиони).

Деятельность Католикоса Домения в грузинской историографии оценивается по разному. Большая часть исследователей обвиняет Католикоса в стремлении узурпации царского трона, часть опровергает это мнение.

Целью данной работы, с предумышленным грузинских и иностранных источников и существующей по этому вопросу научной литературы, на основе критического анализа и сопоставления фактов является выявление реальной личности Католикоса-патриарха Домения IV-го, его роли в государственной и церковной политике, его дипломатических способностей.

В статье, так же учитывая вопрос о достоверности источников, показано превосходство грузинских источников по сравнению с иностранными. На основе вышеизложенного, опровергается мнение о стремлении Католикоса-Патриарха Домения захватить царский трон.

E. KACHARAVA

ON THE ISSUE OF THE ACTIVITIES CATHOLICOS PATRIARCH DOMENTI THE IV

During the reign of Vakhtang the VI a significant role in governing Georgia belonged to his brother, the Catholicos Patriarch Domenti the IV (1705-1742) (Dammiane Bagrationi). Domenti Catholicos has been differently evaluated by Georgian historians, therefore the aim of the present research is to give a possibly accurate estimation to the activity of the Catholicos Patriarch Domenti the IV .

Hereby we use all available sources and scientific literature on this case, presenting the following issues, namely: Political views of Domenti the IV; Role of Domenti the IV in political affairs; Details of Domenti the IV biography; Relationship between the Catholicos Patriarch and the royal family; Diplomatic skills of Domenti the IV.

The research emphasizes the influence of the Catholicos Patriarch Domenti the IV on the Georgian state and church policy.

დამონმებული წყაროები, ლიტერატურა
და შენიშვნები:

1. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. ტ. I, გვ. 488.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 476.
3. იქვე, გვ. 481.
4. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 481.
5. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 481.
6. ი. ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მომზადდა სოლ. ყუბანიშვილიმა, თბ., 1962, გვ. 20.
7. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722) თბ., 1955, გვ. 71-72; 161.
8. ელ. მეტრეველი, ქართ. აგიოგრაფიული კრებული და მისი შედგენილობა, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიკური პრობები, ტ. VIII, გვ. 415-420.
9. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. I, გვ. 478-479.
10. ქართული სამართლის ძეგლები, დასახ. გამოც. ტ. II, გვ. 332; ტ. III, გვ. 694, 695; თ. ყორდანი, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 599; 6. ბერძენიშვილი, დოკ. საქ-ის სოც. ისტორიიდან I, თბ., 1940, გვ. 158.
11. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 158.
12. ბერძენიშვილი დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 150.
13. ქართ. სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა ტ. III, გვ. 694.
14. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV თბ., 1973, გვ. 491.
15. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 317.
16. ვ. დონდუა, ვახტანგ VI დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712-1745), მიმოხილველი, 1953, III, გვ. 35.
17. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 492-493.
18. იქვე, გვ. 492-493.
19. იქვე, გვ. 492-493.
20. იქვე, გვ. 493.
21. გ. პაიჭაძე, ვახტანგ VI, თბ., 1981, გვ. 33.
22. ვ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
23. ბ. კუპატაძე, უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიკაში (კათალიკოსი დომენტი IV), ქართული დიპლომატიკა. ნელინდელი, თბ., 1997, №4, გვ. 256.
24. Пл. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей Магометовых, Тифлис, 1849 г., გვ. 58.
25. გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 33-35.
26. თ. ტივაძე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, ქართ. წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 248-249.
27. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ. გვ. 492-493.
28. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ. გვ. 493.
29. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 125.
30. ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 165.
31. იქვე, გვ. 33.
32. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 492-493.
33. იქვე, გვ. 492-493.
34. იქვე, გვ. 494.
35. იქვე, გვ. 496.
36. თ. ყორდანი, ქრონიკები, III თბ., 1967, გვ. 63.
37. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 497.
38. ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 144.
39. ი. ტაბალუა, დასახ. ნაშრ., გვ. 303-304.
40. იქვე, გვ. 303-304.
41. ი. ტაბალუა, დასახ. ნაშრ., გვ. 303-304.
42. T. Krusinski, Tragica vertentis belli persici historia L. 1740, p. 144.
43. J. Hanuay, An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, vol II, p. 131.
44. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 610.
45. იქვე, გვ. 482.
46. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 482.
47. ბ. კუპატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 254.